ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი ასპექტები



პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე

ევროკომისიასა და ევროპის საბჭოს შორის
პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პარტნიორობის დაკვეთით შესრულებულ წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს პარტნიორი ინსტიტუტების, მათი წევრი სახელმწიფოების, ან მათთან თანამშრომლობაში მყოფი ორგანიზაციების ოფიციალურ პოლიტიკას.

წინამდებარე დოკუმენტის მთლიანი ტექსტის ან მისი ნაწილის რეპროდუცირების ან თარგმნის შესახებ ყველა მოთხოვნა უნდა გადაეგზავნოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int). წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა კორესპონდენცია უნდა გადაეგზავნოს ევროკომისიასა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდობის სფეროში პარტნიორობას.

ყდა და მაკეტი: დოკუმენტებისა და გამოცემების მომზადებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო.

ფოტომასალა: ©ევროკომისიასა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდობის სფეროში პარტნიორობა და კომპანია Shutterstock

ილუსტრაციები: ედეოსი და სილერლ ტალმლა

ავტორები: ტანია ბასარაბი და ჯეიმს ო'დონოვანი

კონტრიბუტორები: სნეჟანა ბაჩილია ნოჩი, ჯუდიტ ბალოუ, ლივა ვიკმენი, ჰილარი ტლერნი, და ჰოუვარდ უილიამსონი

კოორდინაცია: ტანია ბასარაბი და ლალი ბუშე

© ევროპის საბჭო და ევროკომისია, 2020 წლის ოქტომბერი

დაიბეჭდა ევროპის საბჭოში

შესავალი

ახალგაზრდები და ახალგაზრდული მუშაკები, რომლებიც საქმისათვის თავდადებითა და ენთუზიაზმით გამოირჩევიან, ნებისმიერ დროს, ევროპის ნებისმიერ ნაწილში, მათ ხელთ არსებული რესურსების მიუხედავად, ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით უამრავ ეფექტიან და ნაყოფიერ აქტივობას ასრულებენ.

საჭიროა ახალგაზრდული საქმიანობის ფართოდ აღიარება, რესურსებით უზრუნველყოფა და უწყვეტად განხორციელება იმისათვის, რომ ახალგაზრდული საქმიანობის შედეგები უფრო მასშტაბურად და ხანგრძლივად აისახოს ევროპაში მცხოვრები ახალგაზრდების ცხოვრებაზე. ამ გამოცემის მიზანია დაადგინოს, რა არის ახალგაზრდული საქმიანობის ის ძირითადი ელემენტები, რომელთა არსებობაც შესაძლებელს გახდიდა ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას. სწორედ ამიტომ, გამოცემა მკითხველს სთავაზობს ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი ასპექტების ზოგად მიმოხილვას.

სარჩევი

ნაწილი 1 - ახალგაზრდული საქმიანობა, ახალგაზრდები და ახალგაზრდული მუშაკები

- ახალგაზრდული საქმიანობის ცნების განსაზღვრა
- ახალგაზრდები და ახალგაზრდული საქმიანობა
- რა სარგებელი მოაქვს ახალგაზრდულ საქმიანობას ახალგაზრდებისთვის?
- ახალგაზრდული მუშაკების როლი
- განათლება, კომპეტენციები და ეთიკური სტანდარტები
- ხარისხის უზრუნველყოფა და პროფესიული განათლების აღიარება

ნაწილი 2 - ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკა, დაფინანსება და მხარდაჭერა

- მხარდაჭერა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან
- მოხალისე ახალგაზრდული სექტორის როლი
- მხარდაჭერა ევროპის მხრიდან
- ცოდნა, კვლევა და დამატებითი საკითხავი

ნაწილი 1

ახალგაზრდული საქმიანობა, ახალგაზრდები და ახალგაზრდული მუშაკები

ევროპის საბჭო ახალგაზრდულ საქმიანობას განსაზღვრავს როგორც:

"ფართო ტერმინს, რომელიც სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოს დაცვისა და/ან პოლიტიკური ხასიათის აქტივობების დიდ ჯგუფს აერთიანებს. ახალგაზრდული საქმიანობა ეფუძნება არაფორმალურ და ფორმალურს გარე სწავლების პროცესს, რომელშიც ახალგაზრდები ნებაყოფლობით არიან ჩართული. ახალგაზრდულ საქმიანობას, სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ახორციელებს ახალგაზრდული მუშაკი ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, მათ მიერ და მათთან ერთად. ახალგაზრდული საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პრაქტიკაა, რომელიც ახალგაზრდებთან და იმ თემთან ხორციელდება, სადაც ისინი ცხოვრობენ და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, საზოგადოებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას (ევროპის საბჭო, 2017 წ).

ევროკავშირისთვის, ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს:

"ფართო ცნებას, რომელიც მოიცავს ფართო სპექტრის სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, ან პოლიტიკური ხასიათის აქტივობებს, რომლებიც სრულდება ახალგაზრდების მიერ, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდებისთვის. ამგვარი აქტივობები სულ უფრო ხშირად ითვალისწინებს სპორტულ ღონისძიებებსა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ მომსახურებებს. ახალგაზრდული საქმიანობა განეკუთვნება „სკოლის გარე" განათლებას, ასევე მოიცავს პროფესიონალი ან მოხალისე ახალგაზრდული მუშაკების და ახალგაზრდული ლიდერების მიერ დაგეგმილ დასვენების აქტივობებს და ეფუძნება არაფორმალური სწავლის პროცესსა და ნებაყოფლობით მონაწილეობას (ევროკავშირის საბჭოს რეზოლუცია, 2009 წ).

ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში ევროპულმა კონვენციებმა და ექსპერტთა ფორუმებმა ხელი შეუწყო დეფინიციების: „ახალგაზრდული მუშაკი“ და „ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკა“ შემდგომ სრულყოფას.

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ასევე იყენებს ახალგაზრდული საქმიანობის საკუთარ იურიდიულ ან სტრატეგიულ დეფინიციას. ახალგაზრდული საქმიანობის განსასაზღვრად ხშირად გამოიყენება ქვემოთ მოცემული ტერმინები:

ახალგაზრდები და ახალგაზრდული საქმიანობა

ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება იქ, სადაც ახალგაზრდები არიან, მათივე პირობებით. ის ეფუძნება მათ ნებაყოფლობით მონაწილეობასა და ნდობას. ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერ სივრცეში ან ინტერაქციულ გარემოში, მათ შორის, ვირტუალურად, ან პირდაპირი კონტაქტის მეშვეობით. ის შეიძლება შემოიფარგლებოდეს ერთი აქტივობით ან წარმოადგენდეს სხვადასხვა აქტივობებისაგან შემდგარ რეგულარულ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები ერთმანეთთან კავშირს ამყარებენ. ახალგაზრდული საქმიანობის პროცესში, ახალგაზრდები და ახალგაზრდული მუშაკები ერთად იზრდებიან, მაგალითად, წინასწარშექმნილ მიკერძოებულ აზრებთან ბრძოლის, ინდივიდუალურ, სოციალურ და საზოგადოებრივ პრობლემებთან გამკლავებისა და დემოკრატიის განხორციელების გზით. ახალგაზრდული საქმიანობა ეფუძნება ახალგაზრდული მუშაკების ფასილიტაციით წარმართულ არაფორმალური განათლებისა და სწავლის პროცესებს, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდები სწავლობენ თავიანთი მისწრაფებების გაჟღერებას - როგორც საკუთარი თავის, ისე თავიანთი თემისთვის - და ცვლილებებისთვის მუშაობას. ახალგაზრდული საქმიანობა ასევე ფოკუსირებულია ახალგაზრდების, მათ შორის, მათი ნაკლები შესაძლებლობების მქონე ჯგუფების სოციალურ ინტეგრაციაზე.

საკუთარ ტერიტორიაზე - მიზნობრივი ან საყოველთაო

ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება ვრცელდებოდეს ახალგაზრდულ კლუბებში, კაფეებში ან ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედ ახალგაზრდულ მომსახურებათა ცენტრებში მყოფ ყველა ახალგაზრდაზე. საველე (detached), ქუჩის ან მობილური ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების გზით, ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება ატარებდეს მიზნობრივ ხასიათს და მიმართული იყოს იმ კონკრეტული ჯგუფების მხარდაჭერაზე, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან ან მძიმე პირობებში იმყოფებიან. მაგალითად, მიზნობრივი ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს შორეულ სასოფლო რაიონებში, მოწყვლად თემებში, არასრულწლოვანთა ციხეებში ან ლტოლვილთა ბანაკებში.

საკუთარი პირობებით - ნებაყოფლობითი მონაწილეობა

ნებაყოფლობითი მონაწილეობა ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშან-თვისებაა. კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია არაკრიტიკული დამოკიდებულება. ახალგაზრდული მუშაკები და ახალგაზრდები მონაწილეობენ, როგორც თანასწორები - ისინი ერთად აყალიბებენ, განავითარებენ და აძლიერებენ თავიანთ ურთიერთობას. ახალგაზრდული საქმიანობა უზრუნველყოფს სივრცეს ურთიერთმხარდაჭერისა და წახალისების, ნდობის, სწავლის შესაძლებლობების, ანალიზისა და გააზრების, ემოციური განვითარების, სოციალური და კულტურული ცნობიერების ამაღლებისა და, რაც მთავარია, პოზიტიური თვითრეალიზაციისთვის.

ახალგაზრდულ საქმიანობაში მონაწილეობის გზით, ახალგაზრდებმა არა მხოლოდ ავტონომიურობა უნდა განავითარონ, არა მხოლოდ პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ თავიანთ ქმედებებსა და ცხოვრებაზე, არამედ ასევე უნდა გახდნენ აქტიური მოქალაქეები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ დადგენილ ნორმებს, რაც შესაძლებელს გახდის პოზიტიური სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებას. პრაქტიკული თვალსაზრისით, ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენსახალგაზრდების მიერ დაწყებულ მოგზაურობას, რომლის განმავლობაშიც ისინი იცვლებიან და ვითარდებიან; ის შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ლოკაციებზე, ფოკუსირებული იყოს სხვადასხვა საკითხებზე და იყენებდეს სხვადასხვა მეთოდებს.

რა სარგებელი მოაქვს ახალგაზრდულ საქმიანობას ახალგაზრდებისთვის?

ახალგაზრდულ საქმიანობაში მონაწილეობას ბევრი და სხვადასხვაგვარი სარგებლის მოტანა შეუძლია. მათ შორისაა ახალგაზრდებისთვის სივრცეების შექმნა, ასევე მათ ცხოვრებაში „ხიდების“ აშენება. ახალგაზრდული საქმიანობის ხიდმშენებლობის როლი განსაკუთრებით ძლიერ ზემოქმედებას ახდენს იმ ახალგაზრდების ცხოვრებაზე, რომლებიც განიცდიან უთანასწორობას, არახელსაყრელ მდგომარეობასა და დისკრიმინაციას (დეკლარაცია, 2015 წ).

ახალგაზრდული საქმიანობა:

- შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, საჭიროცხოვრებისეული და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევებით მათი აღჭურვის გზით;
- დაფუძნებულია არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიებზე და ქმნის სივრცეს თვითგანათლებისთვის;
- ხელს უწყობს ახალგაზრდების ბავშვობიდან ზრდასრულობაში, დამოკიდებული ყოფიდან დამოუკიდებელ ცხოვრებაში გადასვლას;
- ეხმარება ახალგაზრდებს შეიძინონ და განავითარონ ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები;
- ხელს უწყობს მშვიდობას, ტოლერანტობასა და კულტურათაშორის სწავლებას;
- აძლევს სტიმულს კრიტიკულ აზროვნებას და, ამ გზით, ებრძვის რადიკალიზაციასა და ექსტრემიზმს;
- განამტკიცებს დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, მოქალაქეობას, ევროპულ ღირებულებებს, მონაწილეობასა და თანაბარ შესაძლებლობებს;
- აძლიერებს პოზიტიურ იდენტობას, ერთიანობისა და ავტონომიურობის განცდას;
- აძლიერებს სოციალურ ინტეგრაციასა და ერთობას,განამტკიცებს სამოქალაქო საზოგადოებას;
- მონაწილეობას იღებს სექტორთაშორის თანამშრომლობასა და პარტნიორობაში.

ახალგაზრდული მუშაკების როლი

ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისას, როგორც ახალგაზრდული მუშაკები, ისე ახალგაზრდები წარმოადგენენ პარტნიორებს და დაინტერესებულ მხარეებს. თუმცა, განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა სწორედ ახალგაზრდულ მუშაკებს ეკისრება. გარდა იმისა, რომ მათ შეუძლიათ შეასრულონ ადმინისტრაციული ფუნქციები, კერძოდ, პროგრამისა და პროექტის მენეჯმენტის, დაფინანსების, რესურსებით უზრუნველყოფისა და ფიზიკური გარემოს შექმნის თვალსაზრისით, და იკისრონ პასუხისმგებლობა ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნაზე, ახალგაზრდულ მუშაკთა ძირითადი ფუნქციაა ხელი შეუწყონ ახალგაზრდების სწავლის პროცესს, მოტივაცია მისცენ მათ და დაეხმარონ, რომ ისინი გახდნენ დამოუკიდებელი, აქტიური და პასუხისმგებლიანი პირები და მოქალაქეები. ამისათვის, ახალგაზრდულმა მუშაკებმა უნდა გამოავლინონ ლიდერული თვისებები, თავდადება, კრეატიულობა და ენთუზიაზმი. ახალგაზრდული მუშაკები შეიძლება მუშაობდნენ როგორც ანაზღაურებით, ისე მოხალისეობრივ საწყისებზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი საერთო როლი და ფუნქციები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად უნდა განსხვავდებოდეს. მთავარია, რომ მათ ჰქონდეთ სათანადო კომპეტენციები და თავიანთ სამუშაოს პროფესიონალურად ასრულებდნენ. ახალგაზრდული მუშაკები ხშირად მოქმედებენ როგორც ახალგაზრდების განვითარების ხელშემწყობები და როლური მოდელები. ახალგაზრდებისა და საზოგადოებისთვის ისინი სხვა სოციალურ ან საზოგადოებრივ სამსახურებთან დამაკავშირებელი რგოლის როლსაც ასრულებენ.

განათლება, კომპეტენციები და ეთიკური სტანდარტები

ევროპის ქვეყნების უმრავლესობა ახალგაზრდულ მუშაკებს გარკვეული დონის არაფორმალურ განათლებასა და ტრენინგებს სთავაზობს; ამ ქვეყნების ნახევარი უზრუნველყოფს ახალგაზრდულ საქმიანობაში ან მონათესავეს ფეროებში დიპლომირებული სპეციალისტების მომზადებას, შედარებით მცირეა იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც ახალგაზრდული მუშაკებისთვის პროფესიული მოსამზადებელი კურსები ტარდება. ევროპული მხარდაჭერის პროგრამები, კერძოდ, ევროკავშირის ერასმუს+ პროგრამა ახალგაზრდულ მუშაკებს განათლებისა და ტრენინგის სფეროში უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს.

ზოგიერთ ქვეყნებში ახალგაზრდული მუშაკებისთვის არსებობს კომპეტენციების ეროვნული და ადგილობრივი ჩარჩოებიც კი, რომლებიც განსაზღვრავს, რა ცოდნა და უნარები მოეთხოვებათ ახალგაზრდულ მუშაკებს.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმიანობის პორტფელი ახალგაზრდული მუშაკებისთვის 31 კომპეტენციას განსაზღვრავს. კომპეტენციები ორ კატეგორიად იყოფა:

- ახალგაზრდული საქმიანობის სპეციფიკური კომპეტენციები, რომლებიც უნიკალურს ხდის ახალგაზრდული საქმიანობის სფეროს; და
- უფრო ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა სფეროებთან, მაგრამ, როგორც წესი, მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საქმიანობის თვალსაზრისითაც.

დამატებით ინსტრუმენტს წარმოადგენს „კომპეტენციის მოდელი ახალგაზრდული მუშაკებისთვის საერთაშორისო დონეზე საქმიანობისთვის“, რომელიც შემუშავდა რესურს ცენტრის - SALTO Training and Cooperation-ის მიერ.[1]

1 დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ: https://www.coe.int/en/web/youth-portfolio ან www.salto-youth.net

სოციალური ხასიათის ყველა საქმიანობა ეფუძნება ღირებულებებს. ამ მხრივ, გამონაკლისს არც ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს. ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმიანობის პორტფელის (2015) მიხედვით, „ემსახურება რა ინტეგრაციისა და სოციალური ერთობის მაღალ მიზნებს, ახალგაზრდული საქმიანობა შედგება განუყოფელი მორალური ელემენტებისგან და წარმოადგენს ღირებულებებზე დაფუძნებულ სოციალურ პრაქტიკას, რომელიც წარმოშობს მორალურ, სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებს". თავისი საგანმანათლებლო ხასიათიდან გამომდინარე, ახალგაზრდულმა საქმიანობამ შესაძლებლობა უნდა მისცეს ახალგაზრდებს, თავად განსაზღვრონ თავიანთი ღირებულებები, თავიანთი პიროვნებიდან გამომდინარე, იმის მიხედვით, თუ რა არჩევანს აკეთებენ და რას ანიჭებენ უპირატესობას. ეს ადვილი საქმე არ არის!

ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკურობის უზრუნველსაყოფად, ახალგაზრდული ორგანიზაციები, როგორც წესი, შეიმუშავებენ და განახორციელებენ შემდეგ დოკუმენტებს:

- ეთიკური კოდექსი: ახალგაზრდულ მუშაკთა სტანდარტული პროფესიული კოდექსი;
- პრაქტიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ კონტექსტსა და სიტუაციებში ეთიკური პრინციპების ეფექტიანად გამოყენების გზებს; ან
- ქცევის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ახალგაზრდულ მუშაკთა ქმედებებსა და ქცევას ახალგაზრდებთან მიმართებაში, კერძოდ, მათი უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით.

ეთიკური სტანდარტები არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კონფიდენციალურობა, პროფესიული საზღვრები, რისკის მართვა, პიროვნულ-პროფესიული ურთიერთობები და კეთილდღეობა. ეს სტანდარტები ასევე არეგულირებს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდული საქმიანობის სახეობასთან (როგორიცაა, მაგალითად, ღია ახალგაზრდული საქმიანობა, მოსაზიდი (outreach) ახალგაზრდული საქმიანობა, რწმენაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობა, საველე ახალგაზრდული საქმიანობა, ახალგაზრდული საქმიანობა ლგბტქ+ ახალგაზრდებთან). ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკურობასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ ო. ბერტასა და ს. პეტკოვიჩის კვლევა (https://go.coe.int/qSjvE).

ხარისხის უზრუნველყოფა და პროფესიული განათლების აღიარება

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის ამაღლება და უზრუნველყოფა მთელს ევროპაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოებთან, სისტემებსა და ინსტრუმენტებთან მიმართებაში არსებული მიდგომები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, ხარისხის ეროვნული ნიშნებით და პროფესიული საქმიანობის სტანდარტებით დაწყებული, ტრენერთა სერტიფიკაციითა და ახალგაზრდული ორგანიზაციებისა ან ახალგაზრდული მუშაკების შეფასებით დამთავრებული. ხარისხის უზრუნველყოფის მაგალითები მოცემულია ჯეიმს ო'დონოვანის კვლევაში (ო'დონოვანი, 2020წ).

ევროპული სტანდარტები სახელმწიფო და ორგანიზაციული სტრუქტურებისთვისაც კი ხშირად ინსპირაციის წყაროდ იქცევა. ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის იარლიყი მიენიჭა ევროპის 14 ახალგაზრდულ ცენტრს, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო სივრცეებს ახალგაზრდებისთვის, წარმოადგენენ საგანმათლებლო დაწესებულებებს, ხელს უწყობენ ახალგაზრდულ საქმიანობას, ასრულებენ საკოორდინაციო ცენტრების როლს იდეებისა და ინფორმაციის გაცვლის მიმართულებით და პოპულარიზაციას უწევენ ევროპის საბჭოს ღირებულებებს, მიდგომებსა და სტანდარტებს.

ევროკავშირის ხარისხის განვითარების სახელმძღვანელო „ახალგაზრდული საქმიანობის გაუმჯობესება" ახალგაზრდებს, ახალგაზრდულ მუშაკებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს პრაქტიკულ რეკომენდაციებს სთავაზობს ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფასთანდაკავშირებით.

ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის ხელშემწყობი იდეების, მათ შორის, აღნიშნული საქმიანობის სახელმძღვანელო ევროპული ქარტიის გასაცნობად, იხილეთ ბმული: www.europegoeslocal.eu

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ქვეყნების მხოლოდ მცირე რაოდენობა პასუხობს ეროვნულ დონეზე ახალგაზრდული საქმიანობის აღიარების მოთხოვნებს, ევროპის ოცზე მეტ ქვეყანას გააჩნია ახალგაზრდული საქმიანობის მარეგულირებელი ორგანო, ასევე ახალგაზრდულ მუშაკთა საქმიანობის განმსაზღვრელი პროფილები. მალტა ერთადერთი ევროპული ქვეყანაა, სადაც ახალგაზრდული საქმიანობა, როგორც პროფესია, კანონით განისაზღვრება.

ნაწილი 2

ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკა, დაფინანსება და მხარდაჭერა

მხარდაჭერა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან

პოლიტიკა

ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა და აღიარება ხორციელდება ადგილობრივ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე პოლიტიკის შემუშავების, დაფინანსების, თანამშრომლობისა და ხარისხის განვითარების გზით. ახალგაზრდული საქმიანობა სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც საშუალება ახალგაზრდების წინაშე მდგარი მთელი რიგი პრობლემების აღსაკვეთად. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა შეიმუშავეს ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის მარეგულირებელი პოლიტიკა და მოახდინეს დაფინანსებისა და სხვა რესურსების მობილიზაცია. ქვეყნების უმეტესობას გააჩნია ახალგაზრდობის პოლიტიკა, რომელიც ასევე მოიცავს ახალგაზრდული საქმიანობის სამართლებრივ ან/და სტრატეგიულ ჩარჩოს და ითვალისწინებს ფინანსურ და სხვა სახის მხარდაჭერას. ბევრი ქვეყანა ასევე უზრუნველყოფს ფორმალურ განათლებას და ტრენინგს, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდული საქმიანობის, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბებას. ახალგაზრდულ საქმიანობაში განხორციელებული ინვესტიციები მზარდ და მრავალმხრივ ზემოქმედებას ახდენს ახალგაზრდებზე, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მცირე ჯგუფის, სტრატეგიულ ექსპერტთა უფრო დიდი ჯგუფისა და შემსრულებელთა კიდევ უფრო დიდი ჯგუფის ჩათვლით, რომელთა საქმიანობა გავლენას ახდენს ახალგაზრდების მრავალრიცხოვან რაოდენობაზე.

„ახალგაზრდული საქმიანობის“ ან „ახალგაზრდული მუშაკის“ ოფიციალური ან სამართლებრივი დეფინიცია მოცემულია მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის ახალგაზრდობის პოლიტიკაში. ეროვნული სტრატეგიით ახალგაზრდული საქმიანობა ხშირად განისაზღვრება როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალება, ან როგორც ახალგაზრდებისთვის გაწეულ მომსახურებათა შემადგენელი ნაწილი. ახალგაზრდული საქმიანობა ზოგჯერ წარმოადგენს უფრო ფართო სფეროს ნაწილს, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური პედაგოგიკა, სოციალურ-კულტურული განათლება, ჰობი ან დასვენება.

▶ გვერდი 12

დაფინანსება

ახალგაზრდული საქმიანობის დაფინანსების დონე და ხასიათი იცვლება მოსახლეობის, რესურსებისა და შესაძლებლობების, ასევე ახალგაზდულ საქმიანობასთან მიმართებაში ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით. ახალგაზრდული საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსება, როგორც წესი, განისაზღვრება როგორც ახალგაზრდებისთვის ან ახალგაზრდული მომსახურებებისთვის გათვალისწინებული დაფინანსება. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის, ბელგიაში, ესტონეთში, საფრანგეთში, ირლანდიაში, ლუქსემბურგსა და მალტაში, ცენტრალური ხელისუფლება ყოველწლიურად უზრუნველყოფს დაფინანსებას შესაბამისი სამინისტროს მეშვეობით, როგორც წესი, ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი გრანტებისა და სხვა მხარდაჭერის პროგრამებისა და სერვისების ფორმით. სხვა ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ფინეთი, ნორვეგია და შვედეთი, დაფინანსება უფრო რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე ხორციელდება. პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე დაფინანსება აუტონომიურობის უფრო მაღალ ხარისხს ითვალისწინებს. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა ხორვატია, კვიპროსი, იტალია, საქართველო და მონტენეგრო, დაფინანსება დაფუძნებულია პროექტებზე, არარეგულარულ ხასიათს ატარებს და დამოკიდებულია ევროპულ ან გარე დაფინანსების წყაროებზე.

ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ფინეთი და ირლანდია, სადაც ახალგაზრდული საქმიანობა კარგადაა განვითარებული და შედარებით კარგად ფინანსდება, ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული სერვისების სახელმწიფო დაფინანსების წილი განათლების წლიური ბიუჯეტის ერთ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

მოხალისეობრივი ახალგაზრდული სექტორის როლი

მოხალისეობრივი ახალგაზრდული სექტორი წარმოადგენს ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის მთავარ მომწოდებელს. სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, მოხალისეობრივი ახალგაზრდული სექტორი ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი მომწოდებელია და ის უმეტესწილად ევროპული პროგრამების ფარგლებში ფინანსდება. აღნიშნული სექტორი ხელს უწყობს ახალგაზრდული საქმიანობის აღიარებას და უზრუნველყოფს ახალგაზრდული მუშაკებისთვის მომსახურებების გაწევას. ის მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რწმენაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს, პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების ახალგაზრდულ ფრთებსა, ახალგაზრდული მუშაკების ასოციაციებსა და ქსელებს, ასევე ისეთ ეროვნულ სტრუქტურებს, როგორიცაა ახალგაზრდული საბჭოები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული საქმიანობა ბევრ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ევროპულ დაფინანსებაზე (ერასმუს+ პროგრამა, ევროპის სოციალური ფონდი, ევროპის სოლიდარობის ფონდი, ევროპის ახალგაზრდული ფონდი) და ევროპულ აკრედიტაციაზე (Youthpass), სახელმწიფო აკრედიტაციის არარსებობის შემთხვევაში. ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინიციატივებს ასევე მხარს უჭერს რამოდენიმე ეროვნული ან საერთაშორისო ფონდი.

მხარდაჭერა ევროპის მხრიდან

პოლიტიკასთან დაკავშირებული ბევრი რეკომენდაცია, სტანდარტი, სტრატეგიული ჩარჩო და ხარისხის ინდიკატორი, ასევე ახალგაზრდული საქმიანობის დაფინანსებისა და მხარდაჭერის სისტემები შემუშავებულია ევროპულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გზით.

პოლიტიკა

ევროპულ დონეზე, როგორც ევროპის საბჭოს, ისე ევროკავშირის პოლიტიკა და სტრატეგია ითვალისწინებს ახალგაზრდულ საქმიანობას.

ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/REC(2017)4 არის სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს განაახლონ ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა, მთელი რიგი ქმედებებისა და ზომების მიღებისა და ისეთი პოლიტიკის შემუშავების გზით, რომელიც უზრუნველყოფს და პროაქტიულად ხელს უწყობს ყველა დონეზე ახალგაზრდული საქმიანობის დაწყებასა და შემდგომ განვითარებას. ის ხორციელდება ახალგაზრდული სექტორის 2030 წლის სტრატეგიის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს ოთხი სტრატეგიული პრიორიტეტიდან ერთ-ერთს, ახალგაზრდობის საკითხთა გაერთიანებული საბჭო (CMJ), მისი დამფუძნებელი ორგანოებისა და ახალგაზრდული სექტორისთვის გათვალისწინებული სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.

„ახალგაზრდების ჩართულობის, ერთმანეთთან დაკავშირებისა და უფლებამოსილებებით აღჭურვის შესახებ“ ევროკავშირის 2019-2027 წლების ახალგაზრდობის სტრატეგია ითვალისწინებს ახალგაზრდული საქმიანობის ევროპული დღის წესრიგის განხორციელებას ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის, ინოვაციურობისა და აღიარების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, ახალგაზრდული დიალოგის გზით, რომლის მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში სულ უფრო მეტი ექსპერტისა და ახალგაზრდის ჩართვა.

ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის პარტნიორობა ახალგაზრდულ სფეროში, წარმოადგენს თანამშრომლობით პლატფორმას ორ ევროპულ ინსტიტუტს შორის ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობის, გაძლიერებისა და მისი აღიარების უზრუნველყოფის მიზნით. ის მოქმედებს როგორც ანალიტიკური ცენტრი და ლაბორატორია, რომელიც ახდენს ცოდნის აკუმულირებასა და წარმოებას და შემდგომ მის ეფექტიან გამოყენებას ახალგაზრდობის პოლიტიკასა და პრაქტიკაში. ახალგაზრდული პარტნიორობის ვებგვერდი წარმოადგენს ზოგადი და თემატური კვლევების, კარგი პრაქტიკის მაგალითებისა და ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ სასწავლო მასალების მნიშვნელოვან საცავს.[2]

ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით ევროპულ დონეზე არსებობს ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტი, მათ შორის:

- საბჭოს დასკვნები ახალგაზრდების განვითარების, კეთილდღეობისა და სოციალური ინტეგრაციის საქმეში ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეტანილი წვლილის შესახებ (2013);
- საბჭოს დასკვნები ერთიანი საზოგადოებების უზრუნველსაყოფად ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერების შესახებ (2015);
- საბჭოს დასკვნები იმის შესახებ თუ რა როლს ასრულებს ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდების მიერ იმ ძირითადი ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომლებიც ხელს უწყობს მათ წარმატებულ ტრანზიციას ზრდასრულობაში, აქტიურ მოქალაქეობასა და შრომით ცხოვრებაში (2017);
- საბჭოს დასკვნები სმარტ-ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ (2017) და ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ (2019);
- საბჭოს დასკვნები მიგრაციასა და ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხების კონტექსტში ახალგაზრდული საქმიანობის როლის შესახებ (2018);
- საბჭოს დასკვნები ახალგაზრდული მუშაკების განათლებისა და ტრენინგის შესახებ (2019);
- ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ პირველი ევროპული კონვენციის დეკლარაცია(2010);
- ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ მეორე ევროპული კონვენციის ანგარიში და დეკლარაცია(2015).

დაფინანსება

ევროპის დონეზე, დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენს ევროკავშირის ერასმუს+ პროგრამა, ევროპის სოლიდარობის ფონდი, პროგრამა DiscoverEU - „აღმოაჩინე ევროკავშირი“. დაფინანსების გარკვეულ ნაწილს უზრუნველყოფს ევროპის სოციალური ფონდი. ევროკავშირის მიერ გამოყოფილ რესურსებთან დაკავშირებით, გთხოვთ, იხილეთ ბმული: https://europa.eu/youth/EU_en. ევროპის საბჭოს ევროპის ახალგაზრდული ფონდი ასევე აფინანსებს ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ საქმიანობას. უფრო მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ ბმულს: www.coe.int/en/web/european-youth-foundation

2 https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/youth-work2

ევროპული ორგანიზაციები და სტრუქტურები

ევროკავშირი და ევროპის საბჭო ასევე აფინანსებენ მთელ რიგ პანევროპულ ორგანოებსა და სტრუქტურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციას, ტრენინგს და სხვა რესურსებს ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებისთვის, მათ შორის, ევროპის ახალგაზრდული ინფორმაციისა და კონსულტაციის სააგენტოს (ERYICA)[3], ევროპის ახალგაზრდული ბარათის ასოციაცია (EYCA)[4], ევროდესკი[5], SALTO-YOUTH[6] და ევროპის ახალგაზრდული ცენტრები ბუდაპეშტსა და სტრასბურგში.[7]

ევროპის ახალგაზრდული ფორუმი[8] და მისი წევრები ადვოკატირებას უწევენ ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას, მხარდაჭერასა და აღიარებას.

ცოდნა, კვლევა და დამატებითი საკითხავი

ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით არსებობს უამრავი ინფორმაცია, სამეცნიერო კვლევა და ანალიზი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ქვეყნის, ისე მთელი ევროპის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს წყაროები ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილზე არსებულ რეალობას ასახავს, მათ უმეტესწილად იყენებს ახალგაზრდული სექტორი და აღნიშნული ინფორმაცია სათანადო დონეზე ვერ აღწევს მოსახლეობის ფართო მასებამდე ან სხვა სექტორებამდე.

ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის ონლაინ ენციკლოპედია Youth Wiki[9] შეიცავს დიდი რაოდენობით ინფორმაციას ახალგაზრდული და ახალგაზრდებთან დაკავშირებული სხვა პოლიტიკის შესახებ. ის ასევე შეიცავს სპეციალურ თავს მონაწილე ქვეყნებში ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ.

3 www.eryica.org
4 www.eyca.org
5 eurodesk.eu
6 salto-youth.net
7 www.coe.int/en/web/youth/mission-and-mandate
8 www.youthforum.org
9 https://eacea.ec.europa.eu/national-policies/en/youthwiki

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმიანობის პორტფელი წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტს არა მხოლოდ ახალგაზრდული მუშაკებისა და ახალგაზრდული ლიდერებისთვის, არამედ ასევე მენეჯერებისა და ადმინისტრატორებისთვის, ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში მათი კომპეტენციის შეფასებისა და შემდგომი განვითარებისთვის. დამატებით რესურსს წარმოადგენს „კომპეტენციის მოდელი ახალგაზრდული მუშაკებისთვის საერთაშორისო დონეზე საქმიანობისთვის", რომელიც შემუშავდა რესურს ცენტრის - SALTO Training and Cooperation-ის მიერ.

ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით ასევე ხელმისაწვდომია ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი ანგარიშები:

- *მუშაობა ახალგაზრდებთან: ახალგაზრდული საქმიანობის ღირებულება ევროკავშირში (2014);*
- *ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობა - საერთო ჩარჩო ახალგაზრდული საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის (2015);*
- *ახალგაზრდული საქმიანობის წვლილი ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების აღმოფხვრის მიმართულებით, კერძოდ, განათლებიდან დასაქმებამდე ტრანზიციის პროცესში (2015);*
- *ახალგაზრდული საქმიანობის წვლილი მარგინალიზაციისა და ძალადობრივი რადიკალიზაციის პრევენციის პროცესში (2017);*
- *ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება - პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, ტრენინგის საჭიროებები და კარგი პრაქტიკის მაგალითები ახალგაზრდული მუშაკებისა და დაგაწყვეტილების მიმღები პირებისთვის (2018);*
- *მომავლის საკუთარ ხელში აღება - ახალგაზრდული საქმიანობა და სამეწარმეო საქმიანობის შესწავლა (2017);*
- *მიგრაციასა და ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხების კონტექსტში ახალგაზრდული საქმიანობის როლი (2019).*

ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში ევროპული ცოდნის ცენტრში (EKCYP) ხელმისაწვდომია საინფორმაციო ბუკლეტები სხვადასხვა ქვეყნაში ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ[10] და თემატური ანალიტიკური დოკუმენტები, რომლებიც შეეხება ევროპის ქვეყნებში ახალგაზრდულ საქმიანობასა და ახალგაზრდულ მუშაკთა განათლებას.[11]

10 https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/country-information-youth-work
11 https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/expert-group-researching-educationcareer-paths-youth-workers

ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობამ ასევე გამოაქვეყნა ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ თემატური წიგნების სერია და საგანმანათლებლო მასალები[12]:

- *ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია* - ქვეყნის გამოცდილებისა და თემატური კვლევების ამსახველი შვიდი ტომი;
- *ახალგაზრდული საქმიანობის სერიოზული გააზრება. როგორ უნდა მოამზადო ადამიანები ამისთვის;*
- *ახალგაზრდული მუშაკების განათლება ევროპაში: პოლიტიკა, სტრუქტურები, პრაქტიკა;*
- 13 "T-kit" კრებული – ახალგაზრდობის საკითხებზე გამოცდილი ტრენერებისა და პედაგოგების მიერ დაწერილი თემატური პუბლიკაციები. ისინი წარმოადგენს ადვილად გამოსაყენებელ სახელმძღვანელოებს ახალგაზრდული საქმიანობის საკითხებზე ტრენინგების და საგანმანათლებლო აქტივობების ჩასატარებლად;
- Coyote – ახალგაზრდული მუშაკებისა და ტრენერებისთვის განკუთვნილი ონლაინ ჟურნალი, რომელიც აქვეყნებს მნიშვნელოვან სტატიებს ევროპასა და მის საზღვრებს მიღმა ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებზე;

პარტნიორობის ვებსაიტზე ასევე განთავსებულია ახალაზრდული საქმიანობის სფეროში ორი ევროპული კონვენციის შინაარსი და შედეგები[13] და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ტერმინების განახლებული ლექსიკონი[14].

ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ორგანიზებას უწევს მასობრივ და ღია ონლაინ კურსებს, რომელიც პარტნიორობის მიერ გენერირებულ ცოდნას ადვილად გამოსაყენებელ და ხელმისაწვდომ სასწავლო მასალებად გარდაქმნის.

12 https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/publications
13 https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/eywc-website
14 https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/glossary

ლიტერატურა

ბენკსი ს. (2010), „ეთიკა და ახალგაზრდული მუშაკი, *ეთიკური საკითხები ახალგაზრდულ საქმიანობაში* (მე-2 გამოცემა), რუტლეჯი, ლონდონი

ბენკსი ს. და იმამ უ. (2000), „პრინციპები, წესები და თვისებები: ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკური ჩარჩო“, *მოზარდებისა და ახალგაზრდების საერთაშორისო ჟურნალი*, 9:1, გვ. 65-82.

ბარტა ო. და პეტკოვიჩი ს. (2020), ახალგაზრდულ მუშაკთა საგანმანათლებლო გზა - ეთიკური სტანდარტები ახალგაზრდულ საქმიანობაში და როგორ უწყობენ ისინი ხელს ახალგაზრდულ მუშაკთა საგანმანათლებლო და კარიერულ წინსვლას, https://go.coe.int/qSjvE

ევროპის საბჭო (2017), ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2017)4, https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680717e78, ბოლოს ნანახია 2020 წლის 23 მარტს.

ევროპის საბჭო (2015), ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმიანობის პორტფელი - ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში კომპეტენციის შეფასებისა და განვითარების ინსტრუმენტი, სტრასბურგი.

დეკლარაცია 2015, ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ მეორე ევროპული კონვენციის დეკლარაცია (2015), სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა, https://go.coe.int/Lvn4A, ბოლოს ნანახია 2020 წლის 23 მარტს.

ევროკავშირის საბჭოს რეზოლუცია (2009), საბჭოს 2009 წლის 27 ნოემბრის რეზოლუცია ახალგაზრდობის სფეროში ევროპული თანამშრომლობის განალებული ჩარჩო (2010-2018), 2009/C 311/01, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32009G1219%2801%29

ევროკომისია (2018), *ევროპის ახალგაზრდობასთან დაკავშირებით ევრობარომეტრის კვლევა Flash Eurobarometer 455 – European Youth.*

EUR-Lex: ევროკავშირის კანონმდებლობის ვებსაიტი

ევროპული სოციალური ქარტია (ETS No. 35) 1961; ევროპული სოციალური ქარტია (გადასინჯული) (ETS No. 163) 1996.

ევროკავშირი (2017), *ახალგაზრდული საქმიანობის გაუმჯობესება – თქვენი სახელმძღვანელო ხარისხის გასაზრდელად,* https://ec.europa.eu/youth/news/2017/improving-youthwork-your-guide-quality-development_en

ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პარტნიორობა (2018), ახალგაზრდულ მუშაკთა საგანმანათლებლო და კარიერული გზის განსაზღვრა და შესაბამისი დოკუმენტაცია.

ფუსკო დ. (2014), "ახალგაზრდული საქმიანობის სოციალური არქიტექტურა", ბელტონი ბ., *'კადჯან – კიდუჰუ' - ახალგაზრდული საქმიანობის გლობალური პერსპექტივები,* Sense Publishers, როტერდამი.

ო'დონოვანი ჯ. (2020), ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება, https://go.coe.int/j5TRv

2015 წლის ანგარიში, ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ მეორე ევროპული კონვენციის ანგარიში, მსგავსებები განსხვავებების სამყაროში.

სერკომბ ჰ. (2010), *ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკა,* Sage Publications Ltd, ლონდონი.

სინკლერ კ. საიმონ ნ.პ. და პეტიფორ ჯ.ლ. (1996), "ეთიკური კოდექსისა და ლიცენზიების ისტორია, ბას ლ. და სხვები. *პროფესიული ქცევა და დისციპლინა ფსიქოლოგიაში,* ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაცია, ვაშინგტონი.

შვარც ს. და კუპერი ა. (2014) „ახალგაზრდების შესაძლებლობები წარმატებით დაძლიონ დაბრკოლებები: სამხრეთელი ახალგაზრდების სოციოლოგია",

კონფერენცია: XVIII მსოფლიო სოციოლოგიური კონგრესი, 2014 წლის ივლისი, იოკოჰამა, იაპონია.

უილიამსონი ჰ. (2015), "შეხების საერთო წერტილების პოვნა", რეზიუმე ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ მეორე ევროპული კონვენციის ანგარიშში.

ავტორები

ტანია ბასარაბი - ახალგაზრდობის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ოფიცერი ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პარტნიორობის ფარგლებში, სადაც ის მუშაობს ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში ევროპული ცოდნის ცენტრისთვის, ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასების, ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის საკითხებზე. სწავლობდა რა საერთაშორისო ურთიერთობებს, სადაც მისი ინტერესის მთავარ სფეროს წარმოადგენდა განვითარება, ის თანამშრომლობდა ახალგაზრდობის, თემის განვითარების, აქტიური მოქალაქეობის, სოციალურ და სიღარიბის დაძლევის თემატიკაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. ის მუშაობდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მმართველობა, სამოქალაქო დიალოგი, მონაწილეობითი დემოკრატია, სოციალური ინტეგრაცია და უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკური პროცესები. ის ასევე ჩართული იყო ახალგაზრდული პარტნიორობის მიერ გამოცემული ახალგაზრდული ცოდნის 23-26 წიგნებისა და სხვა სასწავლო მასალის რედაქტირებაში. ის ამჟამად მუშაობს ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პარტნიორობის მენეჯერად.

ჯეიმს ო'დონოვანი - ყოფილი ირლანდიელი საჯარო მოხელე განათლების, ტრენინგებისა და ახალგაზრდობის სფეროებში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილებით როგორც ირლანდიაში, ისე ევროპის მასშტაბით. მისი კარიერის უდიდესი ნაწილი განათლების სფეროზე მოდის, კერძოდ, პოლიტიკის შემოშავებასა და განხორციელებაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა მესამე დონის არასაუნივერსიტეტო სექტორი; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავება და განხორციელება; შესრულების მენეჯმენტი და განვითარების სისტემები სამოქალაქო და საჯარო სექტორებისთვის; საგანმანათლებლო კუთხით მოწყვლადობა; ახალგაზრდული სექტორი და ხარისხის სტანდარტების ეროვნული ჩარჩო.

ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი ასპექტების შესახებ წინამდებარე მესამე გამოცემა ასრულებს ახალგაზრდული სექტორის მართვის სამკუთხედის შესწავლას და ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკაზე. რას წარმოადგენს ახალგაზრდული საქმიანობა და როგორ განისაზღვრება ის? ვინ მონაწილეობს მასში და რა სარგებელს სთავაზობს ის ახალგაზრდებს? სად ხორციელდება ახალგაზრდული საქმიანობა და რომელ პრინციპებზე დაყრდნობით? რომელი პოლიტიკა, პროგრამები და დაფინანსება ემსახურება მის აღიარებასა და ხარისხის განვითარებას?

ეს გამოცემა ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდული საქმიანობის ძირითად ასპექტებზე, რომელთა განხორციელება აუცილებელია იმისათვის, რომ ახალგაზრდული საქმიანობა უფრო მასშტაბურად და ხანგრძლივად აისახოს ევროპაში მცხოვრები ახალგაზრდების ცხოვრებაზე. გამოცემა აღწერს ახალგაზრდული საქმიანობის ძირითად ნიშნებსა და რეკომენდაციებს ევროპულ სტანდარტებთან, რესურსებთან, ქსელებთან და პროგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელს უწყობს უკეთესი გარემოს შექმნასა და ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში ყველა დონეზე გამოცდილების დაგროვებას.

http://youth-partnership-eu.coe.int
youth-partnership@partnership-eu.coe.int

PREMS 057520

ENG

ევროპის საბჭო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა წამყვან ორგანიზაციას ევროპის კონტინენტზე. ის აერთიანებს 47 წევრ სახელმწიფოს, რომლებიც ევროკავშირის წევრებიც არიან. ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს ხელმოწერილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად.

www.coe.int

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს თავიანთი ნოუ-ჰაუს, რესურსებისა და ბედის ერთმანეთთან დაკავშირება. მათ ერთობლივად შექმნეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და, ამავე დროს, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, შემწყნარებლობა და ინდივიდუალური თავისუფლებები.
ევროკავშირი მზადაა თავისი მიღწევები და ღირებულებები გაუზიაროს ქვეყნებსა და ხალხს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ.

http://europa.eu

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE